“დინამო” (თბილისი) – “შახტიორი” (სტალინო)

სტალინოში სსრ კავშირის თასზე ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი “შახტიორი” და თბილისის “დინამო”. შეხვედრის ანგარიში ფრე იყო – 2:2. თანახმად თასის გათამაშების დებულებისა, მეორე დღეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. მატჩის პირველი ნახევარი აღინიშნა სტალინოელთა უპირატესობით, რომლებმაც თბილისელთა მეკარე კიტია ერთხელ აიძულეს ბურთი გამოეტანა ბადიდან. მეორე ნახევარში ანგარიში არ შეცვლილა, თუმცა თბილისელებს რამდენჯერმე ჰქონდათ ამის შესაძლებლობა.

ამრიგად, თბილისის “დინამო” გამოვიდა თასის გათამაშებიდან.

“ლელო”, 15 სექტემბერი, 1954 წ.